


1
1962

ნ. გ. ლომიძის

ქართული
ბიბლიოთეკა



ისე ამაღლდა დიდება ჩვენი
გასცდა ყოველგვარ ზღვარს და ნაპირებს;
მას არ ასცდება მსოფლიოს რისხვა
კოსმოსის წარღვნას ვინც დააპირებს.

უპვირფასესო ციურო ქმეპო,
თქვენ მუხსთან ერთად დაიბადენით,
მუვილობის დროუად დაპკრით კოსმოსში
„მთების არწივი“ და „შეპარდენი“.

№ 16 თბილისი აგვისტო 1962

სიუჟეტი

განმცემის XXXX წელი, ფასი 20 კპპ.



— რაა, კაცო, 80 კაპიკს მახდევინებ ერთ ბოთლ ლუღში?
— ბოღიში, ბატონო, მთვრალი მეგონეთ!

აზროვნის გარემოებები

ერთ წელზე მეტია, რაც ღუშეთის რაიონის სოფელ ანანურში ექიმი არა ჰყავთ.

ექიმი, შენს გამოჩენას ვნატრობთ რა ხანი,

თვითმფრინავით მოდიხარ თუ ავტომანქანით?!

იქნებ ურმით გამოგვზავნეს, ანდა ფეხითა?!.

ვაპ, თუ გზაში დაბრკოლება გადაგეხიდა!...

ან თუ საღმე დაგივარდა ცხენი უნალო,

გვაცნობე და ჩვენ წამოვალთ მის „სამკურნალოდ“.

ი. ხანაშვილი

ღუშეთის რ-ნი, ვინვალმესი.



აქვები არაქონს ამბობენ

ცოცხალი ცოცხალს არ დაიკლებს და არც სხვებს დააკლებს, თვითონაც ყელამდე იქნება და სხვებსაც ასე ამყოფებს. ასე რომ არ იყოს, რად ივარგება და თუნდაც საქვეყნოდ სახელმწიფოებრივი კახური პურ-მარილი, მას ვერც ცივად მოხარშული ნიორწყლიანი დედალი დაამშვენებდა, ვერც ახალ მთვრალი სახით მოკაკვული შოთი, ვერც ხელაღებით ჩამორიგებული ნუნუა, ვერც მოთალი და ვერც თუშური ყველი...

ყველაფერი ეს რომ სრული ჭეშმარიტებაა, ჩინებულად იციან ზოგიერთებმა და ძალა და მოხერხებას არ ზოგავენ, რათა ცოცხლად იმოქმედონ თევზით მდიდარ კახეთის წყლებში, რომ უზრუნველყონ საკუთარი თევზისმოყვარული კუჭი და, სხვათა ტყავის გაძრობით თავიანთ ჯიბეებს შემატონ სისქე.

მინგეჩაურის ზღვისაყენ სასარგებლო ვასეირნებას უზშირეს და უზშირეს მმბიჭებმა: გუგული ზარდიაშვილმა, ლოიდი ბევაშვილმა, ბიჭიკო სურმაევმა და უშანგი მამისაშვილმა. ისინი უფასოდ მოასეირნებდნენ «მამისაშვილისეული» ტაქსით მინგეჩაურულ თევზებს, და დაატარებდნენ სოფელ-

სოფელ კარგი პურისჭამის მოყვარულთა კარდაკარ და ღუმდნენ მომმარაგებლებიც და მომარაგებულებიც, და ღუმდნენ თევზებიც, რამეთუ წყალი ეგუბათ პირში, მაგრამ საქმემ საბოლოოდ თავი მაინც ვერ დამალა და მათს საქვეყნო ღვაწლს, აპა, ეღირსა საქვეყნოდ გამოშეურება.

თხა თხაზე ნაკლები ჩვენ სულაც არა ვართო, თქვეს გიორგი ჩოკოშვილმა და გოგია იმედაშვილმა და მათაც მრავალგზის გალიეს გურჯაან-მინგეჩაურ-მინგეჩაურ-გურჯაანის სარფიანი გზა. პოდა, ჩვენ მათ მიერ გასაღებულ თევზებივით ხომ არ დავდუმდებით, არა, ბატონო, მათ დამსახურებაზე იმას მაინც ვიტყვი, რომ ტექნიკით შეიარაღებულ წინაოთხეულს სულაც არ ჩამორჩნენ. ტოლი არ დაუდეს მათ და სპეკულანტის ტიტული მიიღეს.

ტექნიკის მიღწევებიც უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ რაღა იმ სიშორეზე ვიწანწალოთ. როგორიც მინგეჩაურია. თევზი განა ალაზანში არ არის. როგორ




შეიძლება საკუთარი კუთხის შეუფასებლობა და უპატივცემლობა, გაიფიქრა გიორგი შაქროსძე მამისიმედაშვილმა და ალაზნის არხზე ააფეთქა ამონალი 1961 წლის 21 ივლისს. ამონალის აფეთქებამ არა მარტო თევზებსა და ლიფსიტებს გაუხეთქა ბუშტები, უფრო მეტიც, ეტაჟა არხის ღვარსაქერ ბურჯს, მიანგეჩა-მოანგრია იგი და მიღრიც-მოღრიცა.

როცა გიორგის შეპკადრეს ეს დანაშაულიაო, ამონალი ააგდო და თევზი შეუშვირა, არა, ბატონო, ატომური აფეთქებების ეპოქაში, ამონალი სათამაშოა და, რას მერჩით, თუ ცოტა ვიცელქე, დედა არ მომიკედეს, მეტს აღარ ვიზამ და, თუ გიყვარდეთ, თავი დამანებეთ, ყურს ნუ ამიწევთო. გიორგი კი უყვარდათ, მაგრამ არ ილეს ყურად მისი „სამართლიანი“ თხოვნა და მამისიმედაშვილს მაინც „აუწიეს ყური“. მაგრამ ეს არ გამხდარა ჭკუისასწავლებელ გაკვეთილად გურჯაანელ თეიმურაზ ყვავიშვილისა და რობერტ ოგანოვისათვის. მათ სამოქმედოდ წითელწყაროს წილად ქცეული ალაზანი ამოიღეს მიზანში, იქ აფეთქებდნენ ამონალს და წყვეტდნენ თევზთა მრავალრიცხოვან ოჯახებს.

ოღონდ მათ მეტი სიფრთხილე იხმარეს, ღვარსაქერი ბურჯები არ დაუზიანებიათ და ისე, წყალში ამონალს თუ უბათქუნებდნენ, ვისი რა საქმეა, როცა თევზები არაფერს ამბობენ.

ხარბა



წელს გაგანია ზაფხულია. კურორტებზე ტევა არ არის. თბილისი დაცარიელებულია. ადამიანი საგონებელშია ჩავარდნილი — რა სჯობია ახლა, ბორჯომის ხეობა თუ ცხელი თბილისი, სადაც თავისუფლად შეგიძლიათ ისარგებლოთ ტრანსპორტით, ბაღით, ბაზრითა თუ რესტორნით — არჩევანი ძნელია, მაგრამ უმრავლესობა ბორჯომის ხეობას არჩევს.

აი, მაგალითად, ცემის სანატორიუმი „მზიური“. თუმცა გემით აქ ას ორმოცდაათი კაცი უნდა ისვენებდეს, მაგრამ მოზღვავებულმა დამსვენებლებმა საწოლები დირექტორის კაბინეტშიც კი დადგეს და ას ოთხმოცამდე გაზარდეს თავიანთი რიცხვი. სანატორიუმ „მზიურს“ მზიურ მხარესთან ერთად აქვს ჩრდილოვანი მხარეც და უპირველესად კი ერთფეროვანი საჭმელები. კატლეტი და ისევ კატლეტი, თუმცა კატლეტი ზოგჯერ მრგვალია და ბიტიკი ეწოდება, მაგრამ ყოველ დღე ხბოს სუკის მწვადიც კი მოსწყინდება კაცს.

წალღერში ყოველ ორმოცდაათ წუთში დადის ავტობუსი, გადაყავს დამსვენებლები, ცემში კი ერთი ავტობუსიც არაა დანიშნული, ელოდებიან მატარებელს ბორჯომში, დიდია დამსვენებლების ლოდინი. რა იქნებოდა ბორჯომის ავტოტრანსპორტის კანტორას ორი რეისი მაინც დაენიშნა ცემამდე.

ცემს თავისი მაღაზიაც აქვს, თუმცა გამგე-გამყიდველი ო. ყურაშვილი მაღაზიას თავის საკუთარ დუქნად თვლის და ფასებს როგორც გაუნარდება ისე ადებს. მართალია, იმის თქმა არ შეგიძლია — ყიდდა თუ არა ყურაშვილი მანეთად და 53 კაპიკად ღირებულ ქალის წინდას მანეთად და 70 კაპიკად, მაგრამ ფასი კი მანეთი და 70 კაპიკი ედო. დეფიციტურ საქონელს დახლის ქვეშ აქვს ადგილი მიჩნეული. თუკი თავის მართლებად ჩაითვლება ის, რომ ყურაშვილს დეფიციტური საქონელი ნათესავ-მეგობრებისათვის პქონდა გადანაშული, სადავო არაფერი გვაქვს.

ბორჯომის რაიკომპკავშირის წალღერის № 1 წყლის კიოსკის გამგე-გამყიდველ მ. გ. ფალგენიანს მეგობრისათვის დახლქვეშ არაფერი გადაუნახავს. ფალგენიანს, ალბათ, მიაჩნია, რომ სხვებზე ზრუნვას საკუთარ თავზე ზრუნვა სჯობს. ამიტომაც იყო, რომ ქუთაისიდან ჩამოსულ დამსვენებელ ლილი ასათიანს ოთხ ბოთლ ბორჯომის წყალში რვა კაპიკი ზედმეტი ააფცქვანა. ვინ იცის რამდენი ათეული დამსვენებლის წინაშე გამოიჩინა მან ასეთი „სტუმართმოყვარეობა“. ფალგენიანი, ალბათ, გულმავიწყია, რომ რამდენიმე სახის საქონელზე ფასის დადება დაფიწყებია.

ბორჯომის წყალი, რა თქმა უნდა, დიდებული სასმელია, მაგრამ ლიმონათს მაინც თავისი ადგილი აქვს. ამიტომაც ბორჯომში დაარსდა ლიმონათის ქარხანა, რომლის სული და გული სერგო ილიასძე ლიჩელია. სერგომ იფიქრა, გაზი ბორჯომს ზომავზე მეტიც აქვს და რა საჭიროა ბორჯომულ ლიმონათში ბევრი გაზიო, მღვდელი ჭილობში იცნობა და რა აუცილებელია, ყველა ბოთლს იარლიყი მივაკრაო, თუმცა უგაზობას სითბოს აბრალეებს და უიარლიყობას კი — სიჩქარეს. მაგრამ საინტერესოა შაქრის ნაკლოვანებას რას დააბრალეებს — სიჩქარეს თუ სითბოს? სერგო, ალბათ, ამასაც მოუნახავს მიზეზს და ჩვენც რა დაგვრჩენია, უნდა დავუჯეროთ.

არც ქვიშხეთია ნაკლები საკურორტო ადგილი და აქაც დამსვენებლების ჭედვაა. ბაზარში ისეთი არეულობაა, რომ კაცი ერთბაშად დაიბნევა, მაგრამ ქვიშხეთის შერეული მაღაზიის გამგე-გამყიდველი ეფრემ ჯინჯინაშვილი არასოდეს არ იბნევა, მან კარგად იცის, რომ თვეში ამღვრეულ წყალში უნდა დაიჭიროს. ჯინჯინაშვილის მაღაზიაში ორი კატეგორიის ფასები არსებობს საქონელზე — ერთი სახელმწიფოს მიერ დაწესებული და მეორე თვითონ ეფრემის მადის გამომსატველი. ერთხელ ეფრემს აქტივ კი შეუდგინეს, მაგრამ ყურებზე ხახვიც ვერ დააჭრეს. დატრიალებს დახლში ეფრემი ვეფხვივით და გულში ფიქრობს წერონ და იკითხოონ. აბა სხვა რა ეფრემის ეფრემს.

არც ისეა საქმე ზოგ-ზოგებს რომ გონიათ. სურამში კაი ჭკვიანი ხალხი ცხოვრობს, საქონელში სამმაგ ფასს ახდევინებენ და კაციშვილი ხმას არ სცემს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება კაცს, თითქოს აქაური მილიცია გაბუტული იყოს ადგილობრივ სპეკულანტებთან, რომლებსაც ერთი მყუდრო ქუჩა აქვთ ამორჩეული და აქ აწარმოებენ გაშლილ ვაჭრობას. იყიდეთ რაც გნებავთ: ფრანგული ტუფლები, ნეილონის პერანგები, არაბული წინდები და ვინ მოთვლის კიდევ რა. არც ახლა დაიჯერებენ, რომ სურამში ჭკვიანი ხალხი ცხოვრობს?

მართალია საშური კურორტი არ არის, მაგრამ სავაჭროდ ბევრი მოაგარაკე ჩამოდის აქ, ჰოდა აქაც ხვდებიან როგორც ჯერ არს. საქვაჭრობის საშურის განყოფილების № 35 მაღაზიის გამგე-გამყიდველი მიხეილ მღებრიშვილი თავშენახული კაცია და ყოველ შემთხვევისათვის საიდუმლოდ ინახავს დეფიციტურ საქონელს, ხოლო ფართო მოხმარების საქონელს პრინციპულად არ ადებს ფასებს. პირდაპირ საოცარია, ხომ შეიძლება შეეშალოს მიხეილს და ძვირფასი საქონელი იაფად გაყიდოს?

არაფერი შეგეშალოთო, — ამბობს მიხეილი და ჩვენც ვცდილობთ არაფერი შეგვეშალოს.

ა. მარინაშვილი
ბ. კატარიძე



ნ.ბ. ვ. კუმბურიძისა.

— გვიშველეთ, ბატონო, წყალი ჩამოგვივიდა სახლში
— ბიძიკო, ღვინო რომ ჩამოგვივიდეს სოფლიდან მაშინ მომაკითხე, წყალი რად მინდა!

არაფერი არ იქნება გასაკვირი თუ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს კარებზე წაკითხვით განცხადება «ვაქირავებ ოთახს საზაფხულოთ. ფასი—500 მანეთი». დალოცვილო, წყნეთში 300-400 მანეთი ღირს ოთახი და შენი ოთახი, ისიც თბილისში, ასეთი რა გახდაო, მკითხავთ თქვენ. თუ არ გახდა, მიბრძანლოთ, ბატონო, წყნეთში და ვნახოთ, გიპასუხებთ მე. თქვენ რა გგონიათ—მე გიჟი ვარ, თავმოყვარეობა არ მაქვს, თანამდებობა მაკლია და ცოლ-შვილს აგარაკზე არ ვუშვებ ზაფხულოებით? როგორ არა, ჩემი ცოლ-შვილიც წყნეთშია, რომ იცოდეთ, და მეც ავდივარ, თქვენი არ იყოს, ყოველ კვირა კიტრებით, პამიდორებით, ბადრიჯნებით, საზამთროებით, ნესვებით, შაქრით, ნავთით, კარაქით, გარგარიტა და 2-მანეთიანი ატმებით დატვირთული, მეც 400 მანეთი მაქვს გადახდილი ოთახში. ესე იგი ყველაფერი ისე მაქვს აწყობილი, როგორც თბილისელ მოქალაქეს შეეფერება. აბა, რა-შია საქმე?

— ერთი, ცივი წყალი დამალევიე, მამიკო!—ვაგალებ შვილს და მეზობლის პამაკში ვჯდები ნებივრად. წყლის ხსენებაზე ბავშვს თვალები უელამდება და დედისკენ გარბის.

— ენა ჩაიწყვიტე და ბავშვებს ნუ მიგიყებ. მეორეჯერ არ ახსენო წყალი. თუ ამოდიხარ, ამოდი და ის გააკეთე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, თუ არა, წაეთრიე თბილისში. ვერ ხედავ ფუტკარი რომ გვესკვავ? სამი დღეა ღიმონათით

ვბან ბავშვებს პირს, შენ ხომ არ გგონო შენი ჩამოტანილი დამპალი პამიდორით ვართ დასუტებული? გაგვივლის ფუტკარის ნაკბენი და მერე გვნახე, ქვა ატირდება ჩვენი საცოდაობით.

თქვენ გგონიათ მე ქვის გული მაქვს? თქვენ გგონიათ მე არ მინდა ვიტყვო და ვიბღავლო ამ დიალოგის მერე? საინტერესოა თქვენ როგორ გაუძლებდით ასეთ ამბავს.

— მამიკო, ბუზის მოსაკლავი, დუსტი და თავგის შაქარი არ ჩამომიტანე?—მეკითხება ჩემი უმცროსი გოგო,

— ავტომობილი ჩამოგიტანე, შვილო, მისით დადის,—გულიმი მე და ბავშვს ავტომობილს ვაწვდი.

— ეპ, რეზოს მამიკოს ყოველდღე იმდენი თავგის შაქარი, ბუზის საკლავი და დუსტი ჩამოააქვს,—ობრავს ნატვრაში წასული ბავშვი და მანქანას მაწვდის.

— ჩამოგიტან, მამიკო, ჩამოგიტან, აბა არ ჩამოგიტანს მოგიკვდეს მამა!—ცრემლს ძლივს ვიკავებ მე. და თქვენ გგონიათ, ამის შემდეგ არ მინდა ვტაცო ხელი ჩემს ბავშვებს და არ წამოვიყვანო თბილისში? კი მინდა, მაგრამ ვინ მატანს? აგერ ჩემი უფროსი გოგო ორი კასრით მეოთხე საათია გამშრალ და უთოსავით გახურებულ ონკანს უდგას საპატიო ყარაულში. ის პატარა, ხელებს გიყვივით რომ იქნევს და ბუზებს იგერიებს, ჩემია, ჩემია!!!

მესამე ქათამს რომ თავი წააგლიჯა, ის კი ჩემი მეზობელია. მაგან დააქცია ჩემი ოჯახი. მაგას რომ ნამუსი ჰქონ-

დეს, ცოტა ეკონომიურად იცხოვრებდა თორემ გავწყდი წელში, აღარ შემძლია მეტი, ყალბი ფულის მოჭრას ხომ არ დავიწყებ?

— ქალბატონო, თუ შეიძლება ცოტა იქით დაკალით ეს ქათამები და ჩემს ცოლს ნუ დაანახებთ,—ვეხვეწები.

— თავი იმიტომ აქვს ადამიანს მოძრავი, რომ საითაც უნდა იქით მიიბრუნოს.—მისხნის მეზობელი.

— მაგი ჩემ ცოლს ასწავლე, რომ აგყოლია და დღეში ხუთ ქათამს კლავს, ეს ერთი თხოვნა შემისრულეთ, ღმერთი არ გწამთ თქვენ და თქვენს ქმარს?

— არაა სავალდებულო ყველამ წყნეთში დაისვენოს, შეგიძლიათ წაიყვანოთ თქვენი ცოლ-შვილი თბილისში.—მაძლევს მეზობელი უფლებას.

— წამოდით!—ვბღავი მე, მაგრამ ვინ გიგდებს ყურს. წყნეთში ულტრაიისფერი სხივებია, წყნეთში ყველას რომ ძინავს, მაშინ წყალი მოდის, ღამე ბუზები იძინებენ და თურმე გრილა კიდევაც წყნეთში მთელი თბილისი ისვენებს, კარგი ქმრები წყნეთში ამოდიან ყოველ საღამოს, მე კი ცუდი ქმარი ვარ—უწყლობას, უსინათლობას, ბუზის კბენას ვერ ვუძლებ და საღამოთი თბილისში გავრბივარ. ცოლი მაცილებს ავტომობილს და გზადაგზა მტკვერს ტარხუნასავით.

— მიდიხარ ხომ? შენთვის ცოლ-შვილი არ არსებობს ხომ? აღარ გიყვარვართ ხომ? აიცრუე გული ოჯახზე ხომ? ვინ გელოდება თბილისში, ვინ?

როგორ ვინ მელოდება? ჩემი აბაზანა მელოდება ცივი შხაპით, ჩემი მაცივარი მელოდება გრილი პამიდორებით, ჩემი ოთახი მელოდება ნათელი და უბუზო. საწოლი მელოდება, რომელსაც არც დუსტი სჭირდება, არც თავგის შაქარი. სინათლე მელოდება, საღამოთი გაფეთქილი ფანჯრები და სიგრილე მელოდება. თბილისი მელოდება, თბილისი, მაგას ენაცვალოს ჩემი თავი.

ხალხო, ოჯახო, ცოლო და შვილო, საწყალო წყნეთელებო! ვაქირავებ ოთახს ნათელს, გრილს, უბუზოს, უფუტკაროს, აბაზანით, მაცივრით, ტელევიზორით, რადიომიმღებითა და მაგნიტოფონით. ვაქირავებ 500 მანეთად. არ ღირს თუ? ჩამოდით და დაისვენეთ, ნუ მოიკლავთ თავს მარტო ულტრაიისფერი სხივებისათვის. ათი წელია წყნეთში დავდივარ და ჯერ მაგ სხივის მნახველი კაცი არ მინახია.

ჩამოდით, ხალხო, დაისვენეთ! ოღონდ ჩამოდით და არ მინდა თქვენი ფული!

ჯეიმე დუშაპა

ნახ. ნ. მაღალონიასი



— ქრთამი არ გეგონოთ, უფროსო, ეს ქურჭი თქვენს მიუღლებს მოვართვი საჩუქრად დაბადების დღეზე!

დახლის საყვამუნა

სიხარულისაგან ციებ-ცხელებიანვით ავკანკალდი, დახლზე რომ სხვადასხვა ლამაზი ფეხსაცმელი დავინახე.

— აი, ის მომაწოდეთ, მეგობარო! — მივმართე გამყიდველს.

— მან ყური წაიყრუა.
— თუ შეიძლება ის ფეხსაცმელი მომაწოდეთ!

პასუხის ნაცვლად ლულულდი შემომესმა. თხოვნა კვლავ გავიმეორე. გამყიდველმა ხელი დასტაცა ფეხსაცმელს და ცხვირწინ დამიგდო. ფეხსაცმელი ლამაზი იყო, მაგრამ დიდი.

— ეს რომელი ნომერია? 37 ნომერი არა გაქვთ?

— არა გვაქვს, არა. ტენი ნუ წაიღეთ! გვაქვს მხოლოდ 33 ნომერი და 42.

— ეს სადაური შერჩევაა? ასეთი ფეხი რომელ ქალს ექნება?

— ქალო, რას გადაწყვიდე ძველი ხურჩინივით, არ არის, მორჩა და გათავდა.

— არც თბილისური გაქვთ 37 ნომერი?

ამ შეკითხვაზე გამყიდველმა პასუხის გაცემაც კი არ იკადრა.

„ფეხსაცმელი, კარგი. ფეხსაცმელი!“

— ჩამჩურჩულა ვილაცამ ყურში. სწრაფად შევებრუნდი. ახალგაზრდა კაცმა კვლავ გამიმეორა ეს სიტყვები.

— რა ნომერია?

— რა ნომერი გნებავთ, რა ფერისა, ზამშისა თუ ტყავისა, მიზრძანეთ და 15 წუთში მოგართმევთ.

— საიდან მომიტან, კაცო?! შენა ხარ გამყიდველი, თუ ის კაცია, დახლთან რომ აყუდებულა?

— ვა, „შენ რას კითხულობ, მებაღე

ვინ არის“. გნებავთ მოგიტანთ ფეხსაცმელს...

გაჯავრებული გამოვედი მაღაზიიდან და თბილისის ქუჩებს მოვედე. მოვიარე პლენანოვისა და რუსთაველის გამზირები, დიდუბისა და ნავთლუღის მაღაზიები. მაგრამ ვერც ერთ მაღაზიაში ვერ აღმოვაჩინე სასურველი ნომრის ფეხსაცმელი. თითქოს გამოსაჯავრებლად გამოეწყოთ უჩვეულო სილამაზის მოდელებისა და ფერის ფეხსაცმელები. პასუხი ყველგან ერთი და იგივე იყო — „არა გვაქვს, არა გვაქვს!“ ამდენი ხეტიალის შემდეგ უსიამოვნო ფიქრებმა შემიპყრო. უცებ მხარზე ვილაცის ხელი ვიგრძენი. გამიხარდა ნაცნობის შეხვედრა, მაშინვე ჩემს გასაჭირზე დავუწყე ლაპარაკი. ნაცნობს ეშმაკურად გაეღიმა.

— გეტყობა მთლად გამოუცდელი ყოფილხარ. აქამდე არ იცი, რომ 34-40 ნომერ ფეხსაცმელს მაღაზიებში ცალკე ინახავენ? გამყიდველები მხოლოდ ნაცნობებსა და „მეგობრებს“ ატყობინებენ ასეთი ფეხსაცმლის მიღებას. ისინიც დაუყოვნებლივ ცხადდებიან მაღაზიაში, მისცემენ ზედმეტ „ფარას“ და ტუფლიც მზად არის.

— შენი ჭირიმე, მიშველე, მეც გადავიხდი ზედმეტს!

— უკაცრავად, ასე არ გენდობიან. ისინი ფეხსაცმელს ზედმეტ ფასში მხოლოდ ნაცნობებსა და „მეგობრებს“ აძლევენ.

აი, თურმე, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული.

8. ნუცუბიკი



— ვაჰ, თვეში ხუთას ცარიელ ბოთლს ვაბარებ მაღაზიას და ფული მაინც არ მაქვს ჯიბეში!

სააუჯო უაუიოზი

იმ წელიწადს რამდენიმე ბედნიერება მხვდა წილად. ჯერ იყო და ქრისტიანამ გამაბედნიერა, შემდეგ შემკვიდრე შემეძინა. ამას მოყვა ოროთახიანი ბინა სამზარეულოთი, გაზით და უბაზანო სააბაზანოთი.

ტკბილად მიდიოდნენ თვეები და ერთ დღეს ქრისტიანმა ოთახებს გახედა, მერე გამოხედა, შეიკრა კოპები და იფეთქა:

— კმარა! ასე ვეღარ ვიცხოვრებ!
— აბა რაფერ ვინდა იცხოვრო? — შევკადრე მორიდებით.

— ყველაზე უკეთესად!
ამის შემდეგ ყოველ საღამოს ვისმენდი ქრისტიანს ანგარიშებს:

...მესამე სართულზე „მოცარტი“ აიტანეს!
...ჩვენმა მეზობელმა ტულბანი იყიდა...
...აქეთ „პტიჩი გლაზი“!
...იქით „ჩეშკი სპალანა“!

ერთხელ შუალამისას ოთახის ჭერი ასწია მეუღლის წივილმა:

— არ დამლუბოთ! კედელს მოაცილეთ! დი-დუ!
გველნაკებნივით წამოვხტი.

— რამ დაგარტყა, ქალო?
— ვითომ სერვანტი შეგვქონდა ოთახში და კედელს ვღებოდა გვერდი, დი-დუ!

გულდაწყვიტე ქვაზე მეხალა თავი და... მალე ჩვენს ოთახის კრიჭა შეეკრა. გასავლელი აღარ იყო.

...— მოვკლავ ამ ღეგენერატს! — ქორივით ეძგერა ქრისტიან ბიჭს.


— რა მოხდა, ადამიანო?
— მიღგომოდა და ენას უსვამდა ამ ძვირფას „პალიროვას“! — ჩვენს დედისერთას ქრისტიანამ სამზარეულოში მიუხომა ადგილი.

...ერთხელ, გვიან დავბრუნდი სახლში. ძილი არ მეკარებოდა და დამწყვედული ლომივით ვბორგავდი ლოგინში. საწოლს ლიწინლიწინი გაჰქონდა.

— აღეჭი, კაცო, — შემანჯღრია ქრისტიანმა.
— ამ შუალამისას რას მაღვიძებ, ქალო?!
— ავერ „კუნაში“ გაგოშალე ლოგინი!
— აქ ჭერი მენგრევა თუ?!
— „კრაოტი“ გაოხრდა, შე დათვო, „კრაოტი“

ა. მუხუბაძე

უპიკროსა



ერთი დისერტაცია

ცხრა წელია დაიბეჭდა შენი დისერტაცია და მან დისერტაციების ფასი ისე დასწია, თუ წერს ვინმე, დასცინიან:

«რა მოკლილი კაცია!»
შენც ხომ უში კალამს ხელი, ესეც დიდი ღვაწლია!
ყველაფერი დაამტკიცა ერთმა დისერტაციამ.

აკაკი გელოვანი

რედაქტორი ნ. შევლიძე. | სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე. | საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის განზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-89, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 15/VIII-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურტ. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1576, უკ 08840 ტირაჟი 40.000



საიუბილეო მილოცვა.
 ორმოც წელიწადს მახვილი
 არ გაგიშვია ხელიდან,
 უღირსს, უმნარას მუსრავდი
 სატირის ბასრი ენითა.
 დღეს იუბილეს გილოცავს
 ნიანგი, შენი ქმოგილი.
 კვლავაც წინ გვევლოს სხენივს
 ხელიხელ გადაჭდობილი.